UDC 327
SCOPUS CODE 3320
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-4-358-369

საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები

მაია ყიფიანი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: kipianimaia07@gtu.ge

რეცენზენტები:

ე. გვენეტაძე, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: Gvenetadzeedisheri07@gtu.ge

ზ. კვეტანაძე, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: Kvetenadzezurabi07@gtu.ge

ანოტაცია. თანამედროვე საქართველოს უმნიშვნელოვანესი პრობლემა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. ყურადღება ეთმობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების დილემებისა და გამოწვევების გაანალიზებას. საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით, საკითხი პოლიტიკური რეალიზმის თეორიის პრიზმიდანაა შესწავლილი, რომლის ამოსავალი დებულება სახელმწიფოს თვითგადარჩენა და სახელმწიფო ინტერესებია. განხილულია საერთაშორისო გამოცდილებიდან გერმანიის გაერთიანებისა და ჰონ-კონგის ჩინეთთან შეერთების რთული და ხანგრძლივი გზა, რომელიც, დიდი ძალისხმევისა და გეოპოლიტიკური კანონზომიერებიდან გამომდინარე, მოგვარდა. ასევე წარმოდგენილია 2025 წლის იანვარში ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის ,,სახელმწიფოებრივი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები (სტუდენტური გამოკითხვა)“ შედეგები. კვლევის შემაჯამებელ ნაწილში წარმოდგენილია დასკვნა და ჩამოყალიბებულია შემდეგი რეკომენდაციები: სახელმწიფოს მიერ პრაგმატული პოლიტიკის წარმოება; რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა; აფხაზეთის სტატუსის ისე განსაზღვრა, რომელიც აფხაზებისა და ქართველებისთვისაც, ზოგადად საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ხალხისათვის, მისაღები იქნება; მსჯელობა ჩვენი მრავალეროვნული სახელმწიფოს სა-

ხელწოდებისა და სახელმწიფო მოწყობის რელევანტურ ვარიანტზე; აფხაზებისთვის სარგებლის მომტანი შეთავაზებების პაკეტის წარდგენა, რომელიც ინფრასტრუქტურული, სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით იქნება დამუშავებული; სახალხო დიპლომატიის გააქტიურება.

საკვანძო სიტყვები: დარეგულირება; კონსესუსი; კონფლიქტი; პრაგმატიზმი; საერთაშორისო გამოცდილება.

,,ყოველივეს თავის დრო აქვს ამ ცისქვეშეთში...
ჟამი დარღვევისა და ჟამი შეკვრისა;
ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა.“
ეკლესიასტე

შესავალი

თანამედროვე საქართველოსათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და აქტუალური პრობლემა ქვეყნის სახელმწიფოებრივი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. დღევანდელ საქართველოში მკაფიოდ ისმის მიმდინარე გლობალური გეოპოლიტიკური ცვლილებების ექო, რომელიც დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს ჩვენს სამშობლოს. უნიპოლარული საერთაშორისო სისტემა ცვლილებას განიცდის და მის ნაცვლად მრავალპოლუსიანი სისტემა ყალიბდება.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა დღეისათვის შეფასებულია, როგორც დიდი გლობალური ტრანსფორმაციის შედეგი. 1991 წლიდან ბიპოლარული სისტემა შეიცვალა უნიპოლარულით, საქართველომ დიდი ბრძოლის შედეგად მართალია მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაგრამ დაკარგა აფხაზეთი და სამაჩაბლო, რომლის შედეგად ორი გაყინული კონფლიქტი ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია, რომ ამგვარი მტკივნეული პროცესები მკვეთრი გლობალური, გეოპოლიტიკური ცვლიებების დროს ვითარდება. სსრკ-ის დაშლამ პოლიტიკური რუკიდან უზარმაზარი საბჭოთა იმპერია გააქრო, რომლის ნანგრევებზე წარმოიქმნა მრავალი დამოუკიდებელი სახელმწიფო, აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზეც მოვლენები ანალოგიურად განვითარდა, თავი იჩინა სეპარატიზმმა. ცნობილია, რომ გლობალური ცვლილებები მნიშვნელოვან გარდაქმნებს იწვევს, მაგალითად პირველი და მეორე მსოფლიო ომების დასრულების შემდეგ პოლიტიკური რუკიდან გაქრა მრავალი იმპერია და სახელმწიფო, შეიქმნა სრულიად ახალი პოლიტიკური ლანდშაფტი.

ხაზგასასმელია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილება იყო. 2007 წლის მიუნხენის სამშვიდობო კონფერენციაზე ვლადიმერ პუტინმა ზემოაღნიშნული პროცესები შეაფასა, როგორც ,,გეოპოლიტიკური კატასტროფა''. რუსეთისათვის, სტრატეგიული თვალსაზრისით, ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო სამხრეთ კავკასიის რეგიონი. შესაბამისად, შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ სამხრეთ კავაკასიაში წარმოიქმნა უაღრესად მწვავე ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები– ყარაბაღის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების. მათი დაძლევა საერთაშორისო თანამეგობრობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა გახდა, მაგრამ ეფექტური და რელევანტური მექანიზმების შემუშავება ვერ მოხერხდა.

თანამედროვე მსოფლიო კვლავ ახალი გეოპოლიტიკური ცვლილებების წინაშე დგას. აზერბაიჯანმა თავიდანვე ალღო აუღო მოსალოდნელ ცვლილებებს და, გონიერი პოლიტიკის საფუძველზე, შეძლო ყარაბაღის კონფლიქტის თავისი სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვეტა. საქართველოც მზად უნდა იყოს ახალი გამოწვევებისათვის და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს. აფხაზებსა და ოსებთან ერთად ერთიანი სახელმწიფო უნდა ავაშენოთ, სადაც ყველა ერის წარმომადგენილი თავს დაფასებულად, საჭიროდ და ღირსეულად იგრძნობს, რაც ქართველი ერის ტოლერანტული ბუნებისათვის ავთენტურია.

სტატია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების ახალი გზების ძიებას ეძღვნება. მრავალი წლის წინ დავიწყეთ აღნიშნული პრობლემის კვლევა, 2005 წელს შევისწავლეთ აფხაზეთიდან დევნილი ქალების ისტორიები, ასევე საერთაშორისო გამოცდილება. ამ ეტაპზე, საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით, პოლიტიკური რეალიზმის თეორიის ჭრილში, რომელშიც ამოსავალი დებულება სახელმწიფოს თვითგადარჩენა და ეროვნული ინტერესებია, გავაანალიზებთ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაჭრის შესაძლებლობებს. ჩავატარეთ კვლევა, რომელიც წარმოდგენილი გვაქვს ნაშრომში.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკა გლობალურ ცვლილებებს განიცდის. საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, რომ კონფლიქტების უმრავლესობა ისტორიულ და პოლიტიკურ კონტექსტზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული. ხშირად გეოპოლიტიკური კანონზომიერებიდან გამომდინარე ცვლილებები გარდაუვალი ხდება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ ჩნდება შესაძლებლობა, რომ ქართულ-აფხაზური გაყინული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის გალღობის პროცესი დაიწყოს, რაც მხოლოდ ფრთხილი და პრაგმატული პოლიტიკის საშუალებით უნდა განხორციელდეს.

პოლიტიკურ ცხოვრებაში ხშირად ისე ხდება, რომ ის, რაც შეუძლებელი გვეჩვენებოდა, მოულოდნელად რამდენიმე წელში შეცვლილა. გლობალურმა ცვლილებებმა XX საუკუნეში რამდენჯერმე გარდაქმნა საქართველოს ბედი. 1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა მიიღო, 1921 წელს დაკარგა, შემდეგ საბჭოთა კავშირის შედგენილობაში აღმოჩნდა, 1991 წლიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დამოუკიდებლობა თავიდან მოიპოვა. თუმცა მას ჩამოსცილდა მისი განუყოფელი ნაწილები – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ეთნოკონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება ქვეყნის პრიორიტეტთაგანია, ამ საკითხების ირგვლივ მსჯელობა და სხვადასხვა მექანიზმის გამოყენება ხელისუფლებას მრავალჯერ უცდია, მაგრამ საკითხი დადებითად ვერ გადაწყდა და მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. მეცნიერთა ჯგუფები უწყვეტად მუშაობენ სხვადასხვა სტრატეგიასა და კომპლექსურ მიდგომაზე, უკანასკნელ პერიოდში გეოპოლიტიკური პრიზმიდან იხილავენ პრობლემას.

ჩვენი აზრით, ქართველი პოლიტიკოსების, მეცნიერებისა და საზოგადოების იმ ნაწილს, რომელ-

თაც მიაჩნიათ, რომ, გეოპოლიტიკური მოცემულობიდან გამომდინარე, ყველაფერი თავისით დალაგდება, რომ კონფლიქტური რეგიონები ავტომატურად საქართველოს შედგენილობაში აღმოჩნდება, რომ ყველაფერი მხოლოდ საგარეო პოლიტიკაზეა დამოკიდებული, ვფიქრობთ მხოლოდ სასიამოვნო ილუზიაა. ცხადია, საერთაშორისო პოლიტიკას უაღრესად მნიშვნელოვანი როლი აკისრია, მაგრამ ადგილობრივ დონეზე ხალხთა შორის ურთიერთობის დარეგულირება, ნდობის მოპოვება და თანაცხოვრებისათვის ნიადაგის მომზადება უფრო მნიშვნელოვანია, რათა შერიგება მოკლევადიანი არ აღმოჩნდეს [1]. აქ მნიშვნელოვანია პირდაპირ აფხაზებთან პოლიტიკური საკითხების დაგეგმვა: პოლიტიკური ერთეულების სტატუსის სხვადასხვა ვერსიის განხილვა, კომპრომისული ვარიანტების შეთავაზება, პოლიტიკა ხომ ,,კომპრომისებისა და კონსესუსების სფერო“ და ,,შესაძლებლობების ხელოვნებაა''[2]. მნიშვნელოვანია სახალხო დიპლომატიის ინტენსიური ამოქმედება. ცხადია, ამ საკითხების გადაჭრა მრავალ ბარიერს შეეჯახება, მაგრამ მოთმინებით, პრაგმატიზმით, დარწმუნების პოლიტიკითა და, რაც მთავარია, რეალური პოლიტიკური შეთავაზებებით, გარკვეული პერიოდის შემდეგ, გვჯერა, რომ საკითხი მოგვარდება, რასაც საერთაშორისო გამოცდილების, კარდინალ რიშელიეს დიპლომატიიდან დაწყებული [3], მრავალი მაგალითი გვიდასტურებს.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანად დასრულების ერთ-ერთ რეალურ გზად მოლაპარაკებები, დათმობები და შეთანხმებები გვესახება [1]. ნათელია, რომ კონფლიქტების წარმოშობის რეალური მიზეზი რუსეთის საგარეო პოლიტიკაშია საძიებელი, რაც მიუთითებს, რომ კონფლიქტის დარეგულირება მხოლოდ საქართველოს მთავრობის ძალისხმევით შეუძლებელია. აუცილებელია როგორც რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა, ისე აფხაზებთან საერთო ინტერესების გამოკვეთა, ასევე მათთვის პოლიტიკურად და ეკონომიკურად სარგებლის მომტანი რეალური სტრატეგიის შეთავაზება.

დღეს ყველანაირი გამოცდილების – ეროვნულისა თუ საერთაშორისოს გამოყენებაა აუცილებელი. ახლა უიმედოდ ყოფნის დრო არ არის, პირიქით მოსაფიქრებელია კონკრეტული მოდელები და სტრატეგიები, რომლებიც, პრაგმატიზმიდან გამომდინრე, ორივე მხარისათვის სარგებლის მომტანი იქნება.

საერთაშორისო გამოცდილება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოსაგვარებლად მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია. თუ როგორ დამთავრდება ახალი მსოფლიოს გადანაწილების პროცესი, ეს ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთის თქმა დაბეჯითებით შეგვიძლია, რომ ყველაფერს აქვს როგორც დასაწყისი, ისე დასასრული. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აღნიშნული რთული პროცესებიც გარკვეული დროის შემდეგ დასრულდება. აღნიშნული კონტექსტის გათვალისწინებით, შეიძლება ისე განვითარდეს მოვლენები, რომ აფხაზებისა და ქართველების კონფლიქტის დასრულების შესაძლებლობები გამოიკვეთოს [4]. ჩვენი მიზანი უნდა იყოს ისეთი პროექტების, სტრატეგიების, შეთავაზებების შემუშავება, რომლებიც ურთიერთსარგებლის მომტანი იქნება. მთავარია საერთო იდეის გარშემო გაერთიანება, პოლიტიკური ნება, კონკრეტული ნაბიჯების დროულად გადადგმა. მაგალითად, ვფიქრობთ, ახლავეა შესაძლებელი, აფხაზეთის აღდგენის დასაფინანსებ-

ლად, პარლამენტში საქართველოს ბიუჯეტიდან ფიქსირებული თანხის დაწესების პროექტზე მსჯელობა. როდესაც აფხაზები რეალურ ნაბიჯებს დაინახავენ, თანდათანობით ნდობაც აღდგება და, სიტუაციიდან გამომდინარე, ურთიერთობები დათბება. საინტერესოა გავიხსენოთ ჩინეთ–ჰონ-კონგისა და გერმანიის გაერთიანების შემთხვევები, რომელთა დაძლევას ათეულობით წლები, დაუღალავი შრომა და მოთმინება დასჭირდა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გერმანია ორად გაიყო – კაპიტალისტურ და სოციალისტურ რესპუბლიკებად. ანუ არსებობდა ბიპოლარული სისტემა და, შესაბამისად, ორი გერმანია, ერთი აშშ-ის გავლენის სფერო – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და მეორე სსრკ-ის გავლენის ქვეშ არსებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. მათ შორის აქსიოლოგიურმა დაპირისპირებამ საკმაოდ დიდი უფსკრული წარმოშვა, რომლის გადალახვა, ეროვნული და ენობრივი ერთიანობის მიუხედავად, ერთი შეხედვით, დაუძლეველ პრობლემას წარმოადგენდა.

დასავლეთ გერმანიის კანცლერ ვილი ბრანტის ინიციატივით შემუშავებულ იქნა ,,ოსტპოლიტიკა“–ახალი საგარეო პოლიტიკა [5]. მისი არსი მდგომარეობდა მრავალვექტორულ პოლიტიკაში ანუ მჭიდრო ურთიერთობების დამყარება არა მარტო დასავლელ პარტნიორებთან, არამედ აღმოსავლეთის კომუნისტური ბლოკის ქვეყნებთან–აღმოსავლეთ გერმანია და საბჭოთა კავშირი. გასათვალისწინებელია, რომ ამ დროისთვის საბჭოთა კავშირი თავისი ძლიერების დაღმავალ ფაზაში იმყოფებოდა. ,,ოსტპოლიტიკა“ უაღრესად მოქნილი ინსტრუმენტი აღმოჩნდა გერმანელი ხალხის ერთი იდეის გარშემო გასაერთიანებლად და შიგნით საერთო იდენტობის შესანარჩუნებლად. საწყის ეტაპზე ვილი ბრანტის გადაწყვეტილება საგარეო მოკავშირეებში გარკვეულ სკეფსის იწვევდა, განსაკუთრებულ შიშს აშშ-ის პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის ადმინისტრაცია გამოთქვამდა. მიუხედავად ამისა, ბონი მტკიცედ იდგა საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად და ყველა ღონეს ხმარობდა გერმანელი ხალხის მშვიდობიანი გზით გაერთიანებისათვის.

ბონის მიერ დაწყებული აღმოსავლეთის პოლიტიკის ფარგლებში დაიწყო ბერლინთან პოლიტიკური დიალოგი, რომელსაც თავდაპირველად არავითარი შედეგი არ მოუტანია, მაგრამ ყინულის გალღობას შეუწყო ხელი. ეგონ ბარის მიერ წოდებული ,,მცირე ნაბიჯების პოლიტიკამ“ თანდათან შედეგი გამოიღო, რასაც მათ შორის ტექნიკური თანამშრომლობა მოჰყვა [6]. ,,ოსტპოლიტიკის“ მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად დაიწყო გაერთიანებისათვის საფუძვლის მომზადება, რაც ნაცადი ხერხი იყო და ითვალისწინებდა გერმანელი ერის იდენტობაზე აპელირებას. ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ საჭირო დროს ყველაფერი მზად ყოფილიყო ქვეყნის გაერთიანებისათვის [6].

ვილი ბრანტის მიერ არჩეული პოლიტიკა გააგრძელეს ჰელმუტ შმიდმა, ჰელმუტ კოლმა, ჰანს-დიტრიხ გენშერმა. თანდათან გაფართოვდა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიას შორის ტურისტული მიმოსვლა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინფრასტრუქტული პროექტების განხორციელებას, ჯანმრთელობის დაცვის, საკომუნიკაციო, საფინანსო

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

და სხვა მიმართულებებს. ვილი ბრანტისა და მისი თანამოაზრეებისათვის გერმანიის გაერთიანება უმაღლეს პოლიტიკურ მიზნად დაისახა, ეს იყო მათი მთავარი სახელმწიფო ინტერესი [7]. საბოლოოდ გერმანია გაერთიანდა, მოსამზადებელი სამუშაოები მრავალი წელი უწყვეტად მიმდინარეობდა, თუმცა მნიშვნელოვანი ფაქტორი საბჭოთა კავშირის დასუსტება იყო. სსრ კავშირი XX საუკუნის 80-იანი წლებიდან სახელმწიფოებრივი ძლიერების დაღმავალ ციკლს გადიოდა. ჰანს-დიტრიხ გენშერმა და, ზოგადად, გერმანიის პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა სწორად შეაფასეს მიმდინარე პროცესები და პოლიტიკური „ვაჭრობის“ შედეგად მიზანს მიაღწიეს.

დიდი ბრიტანეთის კოლონიალური პოლიტიკა ჰონ-კონგსაც შეეხო, იგი XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან ბრიტანეთის კოლონია გახდა. ჰონ-კონგი ჩინეთის სამხრეთითაა და, გეოსტრატეგიული თვალსაზრისით, მეტად საყურადღებო მდებარეობა აქვს. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი იაპონიის მიერ ოკუპირებულ იქნა, ხოლო შემდეგ კვლავ გაერთიანებული სამეფოს გავლენის სფეროში აღმოჩნდა. ჰონ-კონგი ისტორიულად ყოველთვის ჩინეთის ნაწილი იყო, სადაც ჩინელები ცხოვრობდნენ, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 155 წლის განმავლობაში მოწყვეტილი იყო სამშობლოს [8]. ჩინელების ცნობილი მოთმინებისა და გლობალური პოლიტიკის წყალობით, ჩინეთმა შეძლო 1997 წელს თავისი ეგზისტენციური მიზნის ასრულება – ჰონ-კონგის დაბრუნება.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან აშშ-ის სახელმწიფო მინისტრ ჰენრი კისინჯერის ინიციატივით, სსრ კავშირის დასუსტების მიზნით, მათი ჩინეთთან დაახლოების პოლიტიკა დაიწყო. ჩინეთმა ისარგებლა შესაბამისი სიტუაციით და დიდი მოლაპარაკების შედეგად ჰონ-კონგი ჩინეთს შემოუერთდა. საყურადღებო ფაქტია, რომ გათვალისწინებულ იქნა ჰონ-კონგის ინტერესები, რომელიც კაპიტალისტურ წყობას, ლიბერალიზმს ეფუძნებოდა და ეს შენარჩუნებულ იქნა მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი სოციალისტური რესპუბლიკაა და კომუნისტური პარტია წინამძღოლობს.

ჰონ-კონგს სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის სტატუსი მიენიჭა ანუ შენარჩუნდა იდეოლოგიური და ეკონომიკური განსხვავებულობა და მსოფლიოში ერთ-ერთი უაღრესად მდიდარი რეგიონი ამ სტატუსით შევიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შედგენილობაში.

გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა დიდი ძალისხმევა გასწია ჰონ-კონგზე კონტროლის შესანარჩუნებლად, მაგალითად შესთავაზა შეჩერებული იჯარის ხელშეკრულების გაგრძელება, ჩინეთ-ბრიტანეთის შერეული მმართველობის შემოღება. მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. პრაგმატიზმმა, მწყობრმა პოლიტიკამ და, რაც მთავარია, საერთო ჩინურმა იდეამ გაიმარჯვა, გადაილახა ყველა ბარიერი, ერთ სახელმწიფოში დაშვებულ იქნა ორი სისტემა [8]. ჩინელების მრავალწლიანი ოცნება ახდა.

ჩინეთის გონიერი პოლიტიკა ეტაპობრივად მიმდინარეობდა. თავდაპირველად მათ დაარწმუნეს ბრიტანელები, რომ მიზნობრივი ჯგუფები შეექმნათ. ჩინელებისათვის განსახორციელებელი სამუშაო მრავალპლანიანი იყო, მთავარი მიზანი ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემას ემსახურებოდა. მოლაპარაკებები ჩინეთის მხრიდან ეფუძნებოდა კომპრომისებს, სადავო საკითხების მოგვა-

რებას, ერთობლივი დეკლარაციის პრინციპებზე შეთანხმებას. საბოლოოდ ჩინეთმა ინგლისის შეთავაზებები უარყო და თავისი ეგზისტენციური მიზნები განახორციელა, ე.ი. იხელმძღვანელა პრაგმატიზმის პრინციპებით.

მოლაპარაკებები მიმდინარეობდა 15 წლის განმავლობაში – 1985 წლიდან 2000 წლამდე. საბოლოოდ მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელიც კომპრომისულ ხასიათს ატარებდა და სამივე მხარის – ჩინეთი, ჰონ-კონგი, გაერთიანებული სამეფო, ინტერესებს ითვალისწინებდა. არ დაზარალებულა მოლაპარაკების არც ერთი მონაწილე: გაერთიანებულმა სამეფომ შეინარჩუნა თავისი ძირითადი ინტერესები, ჩინეთისაგან მიიღო გარანტიები, რომლის მიხედვით ჰონ-კონგი დაცული იქნებოდა იდეოლოგიური წნეხისაგან, შენარჩუნდებოდა თავისუფალი ბაზრის პრინციპი, ეკონომიკის სტაბილური განვითარება და კეთილდღეობა.

ჰონ-კონგი დაუბრუნდა თავის ბუნებრივ მდგომარეობას, თავის სამშობლო ჩინეთს, თან შეინარჩუნა ავტონომიურობა და კაპიტალისტური წყობა. რაც შეეხება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, მან დაიბრუნა თავისი ისტორიული რეგიონი. ჩინეთის კონსტიტუციის თანახმად, ,,ჰონ-კონგის სპეციალური რეგიონი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია“ [8], რაზეც მრავალი ათწლეულის განმავლობაში მხოლოდ ოცნებობდა ჩინეთი და შესაფერის დროს მოთმინებით ელოდა.

თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში გლობალური გეოპოლიტიკური ცვლილებებისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით (გერმანიის გაერთიანება, ჰონ-კონგის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შედგენილობაში დაბრუნება), დღის წესრიგში დავაყენეთ აფხაზეთისა და საქართველოს კონფლიქტიკის დარეგულირების საკითხის ახლებურ პრიზმაში კვლევა. 2025 წლის იანვარში ჩავატარეთ კვლევა სახელწოდებით ,,სახელმწიფოებრივი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები (სტუდენტური გამოკითხვა)“. გამოვკითხეთ სტუდენტები, მათ შეავსეს კითხვარი, რომელშიც უნდა მიეთითებინათ დაბადების ადგილი, დაბადების წელი, რეალური საცხოვრებელი ადგილი, სქესი, არის თუ არა აფხაზეთიდან დევნილი. კვლევაში მონაწილეობდა 980 სტუდენტი, აქედან 360 გოგონა და 620 ბიჭი.

დასმული იყო 3 შეკითხვა:

1. საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი თქვენთვის ერთ-ერთი უპირველესთაგანია?

დიახ, არა, სხვა პასუხი

2. თქვენი აზრით, თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესი საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ხელს შეუწყობს?

დიახ, არა, სხვა პასუხი

3. თქვენი აზრით, რა ხელის შემშლელი ბარიერები არსებობს აფხაზი და ქართველი ხალხის შერიგების გზაზე?

პოლიტიკური ნების არქონა, საგარეო პოლიტიკა, სხვა პასუხი

პირველ შეკითხვაზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

საკითხი თქვენთვის ერთ-ერთი უპირველესთაგანია, ყველა გოგონამ – 360-მა დიახ უპასუხა.

596 ბიჭმა – დიახ,

17-მა – არა;

3-მა – სხვა;

4-მა – არ გვიპასუხა.

ჯამში 956-მა დიახ – 97.55%, 17-მა არა – 1,73%, 3-მა – 0.31%, სხვა, 4-მა – 0,41%, არ გვიპასუხა.

მეორე შეკითხვაზე, თქვენი აზრით, თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესი საქართველოს სახელწიფოებრივი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ხელს შეუწყობს?

240 გოგონამ უპასუხა – დიახ,

100-მა – არა,

20-მა, სხვა პასუხი დააფიქსირა.

320 ბიჭმა – დიახ,

160-მა – არა,

120-მა – სხვა პასუხი,

20 -მა – არ გასცა პასუხი.

ჯამში 560-მა – 57,145%, დიახ უპასუხა, 260-მა – 26,53%, არა; 140-მა – 14,29%, სხვა პასუხი, 20-მა – 2.04%, არ გასცა პასუხი.

მესამე შეკითხვაზე, თქვენი აზრით, რა ხელის შემშლელი ბარიერები არსებობს აფხაზი და ქართველი ხალხის შერიგების გზაზე? პოლიტიკური ნების არქონა, საგარეო პოლიტიკა, სხვა პასუხი.

83-მა გოგონამ გვიპასუხა – პოლიტიკური ნების არქონა;

120-მა – საგარეო პოლიტიკა;

80-მა – სხვა პასუხი;

80-მა – არ გვიპასუხა;

157-მა ბიჭმა უპასუხა – პოლიტიკური ნების არქონა;

240-მა – საგარეო პოლიტიკა;

180-მა – სხვა პასუხი;

40-მა – არ უპასუხა.

ჯამში პოლიტიკური ნების არქონა – 243-მა სტუდენტმა, 24,8%;

საგარეო პოლიტიკა – 357-მა, 36,43 %;

სხვა პასუხი – 260-მა, 26,53%;

პასუხი არ გაგვცა –120-მა, 12,24%.

კვლევის შედეგების გაანალიზებით აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდების 97.55%-ისათვის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა უმნიშვნელოვანესია, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ ახალგაზრდობა არ არის იმედდაკარგული და ყველა ღონეს იხმარს სახელმწიფო ინტერესების დასაცავად.

ასევე სტუდენტთა უმრავლესობისათვის (57,145%) მიმდინარე გლობალური ცვლილებები შესაძლებელია ახალი შესაძლებლობების საფუძველი გახდეს, რასაც ვეთანმებით. საქართველოს, აფხაზეთისა და რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები ამ ახალ პოლიტიკურ რეალობაში შესაძლოა გადაიკვეთოს, როგორც ზემოთ განხილული ჩინეთის, ჰონ -კონგისა და გაერთიანებული სამეფოს მაგალითზე ვნახეთ, მათ კომპრომისებისა და მოლაპარაკებების საშუალებით მიაღწიეს სამივე აქტორისათვის მისაღებ შედეგებს.

აფხაზი და ქართველი მოსახლეობის შერიგების გზაზე შემაფერხებელ ბარიერად საგარეო პოლიტიკა დაასახელა 357-მა – 36,43 %,

სხვა პასუხი 260-მა – 26,53% დააფიქსირა, აქედან დაახლოებით 20%-მა დაასახელა რუსეთი, 6%-მა –

აფხაზების ჯერ კიდევ მოუშუშებელი ტკივილები. პასუხი არ გაგვცა 120-მა – 12,24%. გასაუბრებისას გვითხრეს, რომ არ იციან რა გვიპასუხონ, რაც ბუნებრივია, რადგან მზა რეცეპტი არ არსებობს. მაგრამ არსებობს გერმანიის გაერთიანების გამოცდილება, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ, ,,მცირე ნაბიჯების პოლიტიკის" გამოყენებით მიიწევდა წინ და თანდათანობით, მწყობრი პოლიტიკით, ეკონომიკური დახმარებით, რესურსებზე ხელმისაწვდომობის დაშვებით შესაძლებელი გახდა ქვეყნის გაერთიანება.

დასკვნა

საერთაშორისო გამოცდილებისა და ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების გაანალიზებით მივედით იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია სახელმწიფომ საზოგადოებასა და მეცნიერებთან ერთად იმსჯელოს კონფლიქტის დასრულების ახალ ვარიანტზე და შეიმუშაოს ისეთი სტრატეგია, რომელშიც მკაფიოდ იქნება გაწერილი ის სარგებელი, რომელსაც აფხაზი მოსახლეობა მიიღებს საქართველოს სახელმწიფოში დაბრუნების შემდეგ. ჩვენი აზრით, საქართველოს მთავრობამ აფხაზეთს განვითარებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოუყოს კონკრეტული ფიქსირებული თანხა, რომლის ძირითადი ნაწილი მოხმარდება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ამით, ერთი მხრივ, აფხაზი მოსახლეობა დასაქმდება, მეორე მხრივ, გაკეთდება გზები, აღდგება ხიდები, შენობები. ასევე შესაძლებელია განსხვავებული გადასახადების, ძალიან დაბალის, შეთავაზება განათლებაზე, ჯანდაცვაზე, ასევე უფრო უკეთესი პენსიები, დაბალი გადასახადები საცხოვრებელ ბინებზე, უპროცენტო სესხები. ალბათ მავანი იკითხავს, საიდან ეს ყველაფერი, მაგრამ ჩვენ ყველაფერი უნდა მოვიკლოთ და უზენაეს ამოცანად ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დავისახოთ. პოლიტიკური დიალოგისა და პოლიტიკური ,,ვაჭრობის" შედეგად შეუძლებელი შესაძლებელი უნდა გავხადოთ.

უაღრესად მნიშვნელოვანია რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა. ეს საკითხი ფსიქოლოგიურად ძალიან რთულია, მაგრამ პოლიტიკა, სახელმწიფოებრივი ინტერესები ემოციებს არ ცნობს, მხოლოდ პრაგმატიზმს ეფუძნება. გავიხსენოთ დასავლეთ გერმანიის მესვეურების ,,ოსტპოლიტიკა", მათ გადალახეს ყოველგვარი მორალური, იდეოლოგიური თუ საერთაშორისო წინააღმდეგობები და საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკება დაიწყეს. როგორც პოლიტიკური რეალიზმის მომხრე, საფრანგეთის მომავალი მეფე, ჰუგენოტი ანრი IV იტყოდა ,,პარიზი ღირს მესად", ერთიანი საქართველო ღირს, რომ დავიწყოთ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა. გათვალისწინებული უნდა იქნეს ორივე მხარის, აგრეთვე აფხაზეთისა და ,,სამხრეთ ოსეთის" ინტერესები. აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველო მრავალვექტორულ საგარეო პოლიტიკას ახორციელებს, ვფიქრობთ ასე უნდა გაგრძელდეს.

მნიშვნელოვანია აფხაზეთის სტატუსის ისე განსაზღვრა, რომელიც აფხაზებისა და ქართველებისთვის, ზოგადად საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ხალხისთვის მისაღები იქნება. შერიგებაზე მსჯელობისას ეთნიკურ განსხვავებულობაზე საუბარი ჩიხში შეგვიყვანს, ამიტომ ხაზი უნდა გაესვას იმას, რაც ყველასთვის საერთო და სასი-

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

ცოცხლოდ მნიშვნელოვანია: 1. თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში რეგიონის მნიშვნელობა; 2. ერთნაირი წარსული გამოცდილება და 3. სამომავლო ინტერესები. ჩვენი აზრით, მშვიდობიანი და კეთილდღეობის მომტანი მომავალი ერთად უფრო ადვილი მისაღწევი იქნება, უნდა ვიმუშაოთ საერთო ინტერესების გადაკვეთის წერტილების პოვნაზე, შემდეგ თანდათანობით ერთმანეთისკენ მისასვლელი ნაბიჯებიც უნდა გადავდგათ.

ჩინეთმა ჰონ-კონგისათვის განსაკუთრებული რეგიონის სტატუსი შემოიღო, ქვეყანას კი თავისი ძველი სახელწოდება შერჩა ,,ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა". გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევებიც გასათვალისწინებელია და კიდევ სხვა მრავალი მოდელიც, რომელშიც ასახული არ არის ქვეყანაში მცხოვრები ეთნოსების სახელები. აუცილებელია შევჯერდეთ ყველაზე საუკეთესო ვარიანტზე.

მსჯელობისთვის გთავაზობთ ჩვენ მიერ შემუშავებულ ვერსიებს – ჩვენს მულტინაციონალურ სახელმწიფოს იმ შემთხვევაში თუ ქვეყანა კონფედერაციული მოდელის იქნება, ,,საერთო თანხმობის კავშირი" ან ,,სამხრეთ კავკასიის საერთო თანხმობის კავშირი", ან ,,საერთო თანხმობის დემოკრატიული რესპუბლიკა" ვუწოდოთ, ბოლო ფედერაციულის შემთხვევაში – ,,საქართველო – საერთო თანხმობის კავშირი" ან ,,საქართველო – საერთო თანხმობის დემოკრატიული რესპუბლიკა". საუკეთესო ვარიანტში ცხადია უნდა დავტოვოთ ის სახელწოდება, რაც აქვს ჩვენს სამშობლოს – საქართველო, თუმცა კომპრომისულ ვერსიებზეც აუცილებლად უნდა ვიმსჯელოთ.

ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია ჩვენ მიერ მოყვანილი ორი საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, დასავლეთ გერმანიისა და ჩინეთის. თანამედროვე გერმანია ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და განვითარებული ქვეყანაა, დღევანდელი ჩინეთი ერთ-ერთი გლობალური მოთამაშე, მათ ამ სიმაღლეებს მიაღწიეს იმით, რომ გაუძლეს გარე ძალების ზეწოლას, გადალახეს შინაგანი წინააღმდეგობები, სკეპტიციზმი და ძალიან ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მივიდნენ ერთიან შეთანხმებამდე. ჩვენც უნდა გადავლახოთ დილემები, გადავიდეთ დიალოგის რეჟიმზე და გლობალური ცვლილებების შესაბამისი, პრაგმატიზმის პრინციპზე დაფუძნებული პერსპექტივები დავსახოთ.

დადგა ,,ჟამი უბნობისა" ანუ დადგა დრო სახელმწიფოებრივი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ირგვლივ ინტენსიური მსჯელობისა. ვფიქრობთ, გეოპოლიტიკური კანონზომიერებიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანას ახალი შესაძლებლობების ფანჯარა ეხსნება. საქართველომ უნდა შეძლოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ამ დიად საქმეში მთელი საზოგადოების ჩართვაა აუცილებელი, რადგან ეს საერთო საქმეა. მნიშვნელოვანია სახალხო დიპლომატიის ინტენსიური ამოქმედება, აუცილებელია საერთო ინტერესების, მიზნების ჩამოყალიბება და არა წარსულ შეცდომებზე ფოკუსირება. ხვალ შეიძლება უფრო რთული იყოს იმის მიღწევა, რაც დღეს არის შესაძლებელი. პოლიტიკა ხომ შესაძლებლობების ხელოვნებაა, გამოვნახოთ ეს შესაძლებლობები.

ლიტერატურა

1. Kipiani, M., & Todua, N. (2022). Public diplomacy in the perspective of the Georgian-Abkhazian conflict. In *Journal of the XIV International Scientific Conference "Modern Scientific Research: Achievements, Innovations and Development Prospects"*. Berlin, Germany.
2. Heywood, A. (2008). *Politics*. Tbilisi.
3. Menteshashvili, A. (2000). *History of international relations and diplomacy* (Book I). Tbilisi.
4. Kipiani, M. (2024). Georgian-Abkhazian relations in the context of the formation of a new world order. In *Proceedings of the V International Scientific and Practical Conference "Current Trends in Scientific Research & Development"*. Boston, USA. https://sci-conf.com.ua/v-mizhnarodna-naukovo-praktichna-konferentsiya-current-trends-in-scientific-research-development-12-14-12-2024-boston-ssha-arhiv
5. Noetzoldt, L. J. (1998). *How West Germany's Ostpolitik contributed to German unification*. Eastern Illinois University.
6. Defense Technical Information Center. (1991). *Willy Brandt and Ostpolitik*. http://www.dtic.mil/dtic/tr/fulltext/u2/a437169.pdf
7. Tomáš, K. (2014). *Willy Brandt and his role in the Cold War* (p. 70). Masaryk University.
8. Gakhokidze, J., Demetrashvili, A., Jincharadze, Q., Midelashvili, S., & Goradze, G. (2017). *Searching for the unification of Georgia's breakaway regions*. Tbilisi.

UDC 327
SCOPUS CODE 3320
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-4-358-369

Prospects for Restoring Georgia's Territorial Integrity

Maia Kipiani Department Politics and International Relations, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: kipianimaia07@gtu.ge

Reviewers:

E. Gvenetadze, Professor, faculty of law and International Relations, Georgian, GTU
E-mail: Gvenetadzeedisheri07@gtu.ge

Z. Kvetanadze, Professor, faculty of law and International Relations, GTU
E-mail: Kvetenadzezurabi07@gtu.ge

Abstract. The article is devoted to the analysis of the dilemmas and problems of the settlement of the Georgian-Abkhaz conflict. The problem is studied through the prism of the theory of political realism, the starting point of which is self-preservation of the state and state interests. The article considers the difficult and long path of the reunification of Germany and the reunification of Hong Kong with China, which was passed at the cost of great efforts and geopolitical patterns, based on international experience. The article presents the results of the study we conducted in January 2025 - "Prospects for Restoring the Territorial Integrity of the State (Student Survey)". The work formulated the following recommendations: the state should pursue a pragmatic policy; restore diplomatic relations with Russia; determine the status of Abkhazia; discuss the name and state structure of our state; present the Abkhazians with a package of advantageous proposals that will be developed from infrastructural, legal, political, economic and social points of view; intensify public diplomacy.

Keywords: Conflict; Consensus; Regulation; International experience; Pragmatism.

განხილვის თარიღი 23.04.2025
შემოსვლის თარიღი 06.05.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.12.2025